სამაგისტრო პროგრამა სახვითი ხელოვნებასა და დიზაინში
(2009–2010 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი)

სამაგისტრო პროგრამის დასახელება: სახვითი ხელოვნება და დიზაინი
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ხელოვნების მაგისტრი / Master of Fine Art (MFA)
პროგრამის ხანგრძლივობა: 4 სემესტრი, **ECTS**-ის 120 კრედიტი
პროგრამის შემუშავების თარიღი: 2008 წლის 1-30 მაისი
პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ლევან სილაგაძე
პროგრამის ანალოგები:

- Cambridge, **MA**: The MIT Press. Jensen, M. (2006) 'Mobility among Young Urban **...** on the problems of cognitive **ergonomics** in complex industrial systems at the **...** www.hf.ntnu.no/mobilities_in_transit/confirmed%20contributers%20long.htm - 37k –
- Grant Ellmers, BVisArt, **MA Visual Arts**, ANU Anita Fitton, Assoc DipArt CCIT **...** Stephen D. Trathen, GrapDip **Ergonomics** La Trobe, BAppSc Ind Des Canberra CAE **...** www.canberra.edu.au/handbook2003/staff/staff-Scides.html - 26k -
- Find the perfect **MA**, MSc, MBA or PhD programme with our comprehensive UK course **...** School of **Arts**, Histories and Cultures. · Art History and **Visual** Studies **...** www.postgrad.com/coursesearch/?subjectid=**ARTS**&ptypeid=&smodeid=&areaid= - 487k –
- Goossens, RHM & Veelen, **MA** van (2001). Assessment of **ergonomics** in laparoscopic **.....** Design of **visual** instructions. In Ninth annual WinWriters online help **...** metis.tudelft.nl:7777/pls/metis_lookup/pk_apa_n.organisatie?p_url_id=661 - 22k –

საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობა:

მიზანი: პროგრამის მიზანია ბაკალავრიატის ოთხწლიანი სასწავლო პროგრამის შემდეგ აამაღლოს მომავალი სპეციალისტის კვალიფიკაციის დონე უკვე მიღებული ცოდნისა და ჩვევების გაღრმავებით და ამავე დროს პრინციპულად ახალ ჭრილში გადაიყვანოს მისი შემოქმედებითი და ინტელექტუალური მუშაობა. ამ უკანასკნელ ასპექტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამაგისტრო ნაშრომისა და შემოქმედებითი პროექტის ფუნქციური ურთიერთობის ამოცანების განსაზღვრისას.

პროგრამა გათვალისწინებულია იმ სტუდენტებისთვის, რომელთაც მიღებული აქვთ საბაკალავრო ან ხუთწლიანი სპეციალისტის განათლება სახვითი ხელოვნების და დიზაინის სპეციალობებით და იმ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრთათვის, ვისაც დამატებითი პროგრამის ან გავლილი საგნების მეშვეობით მიღებული აქვთ დაზგური მხატვრობის და დიზაინის სფეროში პრაქტიკული მუშაობის გარკვეული გამოცდილება.

არსებობს სრულიად ლოგიკური, რამდენიმე მნიშვნელოვანი კომპონენტისგან შემდგარი საფუძველი, რომელიც ასეთი პროგრამის შემუშავების და ამოქმედების მიზანშეწონილობას განსაზღვრავს. ეს კომპონენტები დარგის სპეციფიკას, უმაღლეს სასწავლებლებში (კერძოდ თსუ-

ში) მოქმედ საბაკალავრო პროგრამის თავისებურებას და თანამედროვე დასაქმების ბაზრის მხატვრობისა და დიზაინის სფეროს სპეციალისტებზე მოთხოვნებს ემყარება. I – მხატვრობის სწავლება მოითხოვს დახელოვნებისთვის ეტაპობრივ და ხანგრძლივ სამუშაო პროცესს, რომლის ბაკალავრიატის პროგრამით შემოსაზღვრა ნამდვილად არასაკმარისია.

II – ბაკალავრიატში მიღებული ზოგადჰუმანიტარული განათლება მოითხოვს ლოგიკურ გაგრძელებას და კონკრეტული საგნებით პრაქტიკოსი მხატვრისთვის ხელოვნების ფილოსოფიის აუცილებელი თეორიული ცოდნის შეძენას.

აქედან გამომდინარეობს პროგრამის სტრუქტურის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა - ბაკალავრიატში ჩამოყალიბებული მხატვრული ხედვის და აზროვნების, ოსტატობის და ტექნიკური უნარ-ჩვევების დახვეწა, განვითარება და ხელოვნების ფილოსოფიისა და თეორიის ღრმა ცოდნით გამყარება.

შედეგი: პრაქტიკული ხასიათის საგნები (წიგნის გრაფიკა და ილუსტრაცია, კინო-ტელე და თეატრის მხატვრობა, ფერწერის რესტავრაცია) მიზნად ისახვს ბაკალავრიატში გარკვეულ დონემდე ათვისებული მხატვრობის კლასიკური მეთოდების კონკეტულ დარგებში თანამედროვე შემოქმედებითი პრაქტიკით და ტექნოლოგიებით გამდიდრება-დაბალანსებას. ეს პრინციპი მომავალ სპეციალისტს მისცემს პრაგმატულ შედეგს – მოიპოვოს რეალური სამუშაო ადგილი ყველგან, სადაც სოციუმს სჭირდებ მაღა პროდუქციის, ობიექტის ან მოქმედების მხატვრული იერ- სახის დადგენა და განხორციელება; ხოლო საზოგადოებას – ყავდეს გაცნობიერებული მხატვრული ხედვის და გემოვნების მქონე მაღალი დონის შემსრულებელი.

სტუდენტი გაეცნობა თანამედროვე ხელოვნების პრობლემებს, ცნებებსა და ძირითად მეტოდოლოგიურ მიდგომებს, რომლითაც განიხილება ხელოვნება და მისი განვითარების პროცესი, შეისწავლის თანამედროვე ვიზუალური კულტურის და გამოყენებითი ესთეტიკის ინტერპრეტაციის მიდგომებს, რომელიც ეფუძნება და ითვალისწინებს ფოლოსოფიის, ფსიქოანალიზისა და სემიოტიკის თანამედროვე ტენდენციებს.

საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშავოს შესაბამისი უნარები და მოახდინოს მათი დემოსტრირება შემდეგი მიმართულებებით	**სწავლება, სწავლა და შეფასება**
I. ცოდნა და გაცნობიერება 1.სახვითი ხელოვნების და ხელოვნების ფილოსოფიის განვითარების ისტორიის ფუნდანენტური ცოდნა. 2. სახვითი ხელოვნების ძირითადი, ტრადიციული დარგების (ფერწერა, გრაფიკა) ხელოვნების დარგების დამახასიათებელი ნიშან-თვისებების, ამოცანების და სტილისტიკის ცოდნა. 3. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად იცნობს	

დაზგური მხატვრობისთვის საჭირო მრავალფეროვან მასალას, მისი სწორად გამოყენების თეორიულ მეთოდიკას. 4. მხატვრობის ტრადიციული მეთოდების ცოდნასთან ერთად სტუდენტი იცნობს თანამედროვე, ალტერნატიულ და არატრადიციულ ტექნოლოგიებს სახვითი და აზროვნების სფეროში 5. სტუდენტს კარგად ესმის ზოგადად მხატვრობის სპეციფიკა და ამ სფეროში შეფასების კრიტერიუმების არაერთგვაროვნება – აცნობიერებს, რომ როგორც ხელოვნების ნიმუშის, ასევე მხატვრული იდეის და მისი კონკრეტული ამოცანის და გარემოსთვის მისადაგების შეფასებისას უნდა არ უნდა შეზღუდოს მისი დიაპაზონი. 6. შეძენილი აქვს სახვითი ხელოვნებისთვის ფუნდამენტური ცოდნა ფერის, ფორმის, ჩრდლისა და განათების, სივრცისა და სასურათე სიბრტყის ურთიერთდამოკიდებულების, მხატვრული იდეის და თემატიკის შემოქმედების საბოლოო პროდუქტთან დაკავშირების შესახებ.	
საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშავოს შესაბამისი უნარები და მოახდინოს მათი დემოსტრირება შემდეგი მიმართულებებით:	**სწავლება, სწავლა და შეფასება**
7. ესმის და აცნობიერებს სახვით ხელოვნებაში კომპოზიციური აზროვნების მნიშვნელობას; აქვს მხატვრული კომპოზიციის სხვა და სხვა დარგში და მასალაში სტილისტური და მიზნობრივი დატვირთვის გათვალისწინებით გამოყენების ცოდნა. 8. იცის, თუ რას ნიშნავს ყოველდღიურობის ვიზუალიაცია და მედიის როლი სოციოკულტურულ საზრისში და ხელოვნების	**ლექცია, პრაქტიკუმი, პრეზენტაცია, გამოცდა**

ვიზუალიზაციის კონსტრუირებაში. სანახაობა, ვიზუალიზაცია, ზედამხედველობა, არტმედია, ვიზუალური რეპრეზენტაცია და ვიზუალური მანიპულაცია. სტუდენტმა იცის ესთეტიკურის და ეთიკურის მიმართება ხელოვნებაში, ფემინიზმის და ხელოვნების ვიზუალიზაციის მიმართება. 9. იცის, თუ რა არის ვიზუალიზაცია, როგორც სიმდიდრისა და ძალაუფლების მოცემულობის ფორმა, დიზაინის და ვიზუალური ხელოვნების პერფორმანსული ხასიათი. 10. იცის ფილოსოფიურ-კულტურული პარადიგმის როლი მხატვრული ხედვის ჩამოყალიბებაში და პოსტმოდერნის ვიზუალური სტრატეგია და ვიზუალური სტრატეგიების ტრანსფორმაციის საკითხი, ვიზუალურისა და ვერბალურის მიმართება, თანამედროვე ვიზუალური ხელოვნებისა და კულტურის თეორია. 11. იცის ვიზუალური აზროვნების თავისებურებებისა და ვიზუალურობის არსებობის ფორმების მიმართების საკითხი თანამედროვე ხელოვნებაში. 12. გარემოს ესთეტიაცია: მისი გაგება და მართვა. დიზაინი – ვიზუალური რეპრეზენტაცია, რეკლამა – ვიზუალური მანიპულაცია.	
საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშავოს შესაბამისი უნარები და მოახდინოს მათი დემოსტრირება შემდეგი მიმართულებებით	**სწავლება, სწავლა და შეფასება**
II. ცოდნის პრაქტიკული გამოყენება / პრაქტიკული უნარები: 6. სტუდენტს შეუძლია თავისუფალი მსჯელობა, აზრის ჩამოყალიბება და დისკუსია თანამედროვე ვიზუალური ხელოვნებისა და ტექნიკური ესთეტიკის და მისი გამოყენებითი მხარის საკითხებში: ექსპერული შეფასება	**ლექცია, პრაქტიკუმი, პრეზენტაცია, გამოცდა**

შესაბამის სფეროში 7. შეუძლია პრაქტიკული აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება (გამოფენა, შოუ, პრეზენტაცია, პერფორმანსი)	
II. ცოდნის პრაქტიკული გამოყენება / პრაქტიკული უნარები: **პრაქტიკული უნარების დახვეწა პროგრამისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტია.**	**ლექცია, პრაქტიკუმი, პრეზენტაცია, გამოცდა**
1. დაზგურ ფერწერასა და გრაფიკაში, აგრეთვე კინო-ტელე და თეატრის მხატვრობაში, ფერწერის რესტავრაციაში სამუშაოდ საჭირო მასალების, ინსტრუმენტებისა და დამხმარე ინვენტარის პრაქტიკაში სწორად და ოპტიმალურად გამოყენების უნარ-ჩვევები. 2. სტუდენტი სრულყოფილად ფლობს აკადემიური ხატვის ტექნიკას და ხერხებს – შეუძლია ნებისმიერი სირთულის კომპოზიციის და ცალკეული მოდელის ამ მეთოდიკით სწორი კონსტრუქციული გადმოტანა სასურათე სიბრტყეზე სხვა და სხვა მასალით. 3. სტუდენტი ფლობს ზეთის ფერწერის, აკვარელის, ტემპერისა და გუაშის ტექნიკას. მას შეუძლია ამ სახეობის საღებავების მრავალფეროვანი შესაძლებლობების გამოყენება დაზგურ და ფერწერაში (სასურათე სიბრტყის მასალისა და დანიშნულების მიხედვით მათი სწორად შერჩევიდან ტექნიკური და სტილისტური ნიუანსების შეჯერებამდე) და გრაფიკაში. 4. შეუძლია სხვა და სხვა სამხატვრო ტექნიკის სინთეზისა ან მათი სამუშაოს შესრულების ეტაპების მიხედვით მონაცვლეობის მეშვეობით შექმნას მაღალმხატვრული პროდუქცია და შეასრულოს გაფორმებითი ხასიათის მხატვრული სამუშაო, იმუშაოს რესტავრაციაში. 5. თანამედროვე კომპიუტერული	

ტექნოლოგიების და პროგრამების (Adobe Photoshop, CorelDrow, AdobeIllusrator) ცოდნის საფუძველზე შეუძლია იმუშაოს მაკეტზე და მხატვრულად გააფორმოს ნებისმიერი ნაბეჭდი პროდუქცია, აგრეთვე გამოიყენოს ეს პროგრამები დამოუკიდებელი მხატვრული და პროდუქციის შესაქმნელად.	
საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშავოს შესაბამისი უნარები და მოახდინოს მათი დემოსტრირება შემდეგი მიმართულებებით	**სწავლება, სწავლა და შეფასება**
III. ზოგადტრანსფერული უნარები 1. მხატვრობის სპეციფიკიდან გამომდინარე იდეის ჩამოყალიბების და სწორად გაანალიზების ეტაპი საბოლოო პროდუქციის შექმნის წარმატების აუცილებელი ბაზისია. ასეთი უნარის ჩამოყალი-ბება ხდება კომპლექსურად სწავლების მთელი პერიოდის მანძილზე და მიბმულია იდეის ხორცხშესხმისათვის საჭირო პრაქტიკული უნარების განვითარებასა და თეორიული ცოდნის მიღებაზე. როგორც დამოუკიდებელი, დაზგური მხატვრული ნაწარმოების, ასევე გაფორმებითი სამუშაოს დროს ილუსრაცასა და კინო-ტელე – მხატვრობაში იდეაც დაკავშირებულია კომპოზიციურ აზროვნებასთან, რაც არა მხოლოდ საგნებისა და ფორმების სიბრტყობრივ და სივრცობრივ მანიპულირებას, არამედ ადამიანის აზროვნების, ქმედების და განწყობის შემოქმედებითდ სინთეზირებას წარმოადგენს. 2. სწავლის და პრაქტიკული მუშაობის სტრატე-გიისა და დროის ორგანიზება სწავლების პერიოდში ბუნებრივად შემენილი უნარია, რადგან მხატვრობის შესწავლა პროგრამის მიხედვით შედგება არაერთგვაროვანი მეთოდიკისგან (თეორიული ცოდნის მიღება, სახელოვნებო	**ლექცია, პრაქტიკუმი, პრეზენტაცია, გამოცდა**

ტექნიკისა და უნარ-ჩვევების განვითარება, მხატვრულ-კომპოზიციური აზროვნება) და ხარისხიანი მხატვრული პროდუქტის მიღებაც მხოლოდ სწორად გაწერილი ციკლების შესრულების შედეგად შეიძლება. განსაკუთრებით ეს ეხება დიზაინის სფეროს, სადაც დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი შემოქმედბითი იდეის დამკვეთისთვის მისაღები, წარმატებული მხატვრული ფორმის პროდუქციად გადაქცევის აუცილებლობაა.	
საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშავოს შესაბამისი უნარები და მოახდინოს მათი დემოსტრირება შემდეგი მიმართულებებით	**ლექცია, პრაქტიკუმი, პრეზენტაცია, გამოცდა**
3. ტექნოლოგიური მოწყობილობების და ტექნიკისGგამოყენებისა და ინფორმაციის მენეჯმენტის უნარი ვითარდება თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების და პროგრამების სწავლების გვერდით. მითუმეტს, რომ მხატვრობის და დიზაინის სფეროში ასათვისებელი პროგრამები უფრო რთული და ტევადია, ვიდრე უბრალო საინფორმაციო პროგრამები. სტუდენტი ინფორ-მაციას იღებს აგრეთვე სასწავლო და დამხმარე ლიტერატურიდან, რომლის ნაწილი კლასიკური სახვითი ხელოვნების და მისი განვითარების შესწავლას ემსახურება – აქედან გამომდინარე მას განსხვავებული ინფორმაცია მიეწოდება სხვა და სხვა ჭრილში და მათი შეჯერების და გაანალიზების უნარი უვითარდება ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ჩვევასთან ერთად. 4. მხატვრობის წმნიდა ინდივიდუალისტური სფეროების გამოკლებით (დაზგური ფერწერა და გრაფიკა და ა.შ.) ინტერდისციპლინარულ ჯგუფში მუშაობის ჩვევას სტუდენტი ეუფლება კინოსა და თეატრის მხატვრობის	

შესწავლისას. 5. ავტონომიურად მუშაობის უნარი მხატვრის მოღვაწეობის ქვაკუთხედია ყველა დარგში (ინტერდისციპლინარულ ჯგუფში მუშაობის ჩათვლით)	

შეფასება:

შეფასების ასქულიანი სისტემა მოქნილობით ოპტიმალურია ვიზუალური ხელოვნების სწავლებისთვის, რადგან სხვადასხვა პარაეტრების შეჯამების და დიფერენცირების საშუალებას იძლევა. დისციპლინა შედგება სხვა და სხვა კომპონენტებისგან და ისევ და ისევ მხატვრობის ინდივიდუალისტური სპეციფიკიდან გამომდინარე, მათი ფლობის თანაფარდობა არ მოითხოვს ზედმიწვნით შტამპირებას. პრაქტიკულ სეგმენში პრიორიტეტული აქცენტები კეთდება კომპოზიციურ ხედვაზე და აზროვნებაზე ზოგადად, ტექნიკისა და მასალის ფლობაზე.
სწავლების ფორმატის მიხედვით ჯამური შეფასების ჩამოყალიბება ასპექტების შემდეგი პროცენტული თანაფარდობით წარმოებს:

ლექცია-პრაქტიკუმებზე დასწრება: 10%
პრეზენტაცია-სემინარების შეფასება: 40% (25%+25%)
საბოლოო გამოცდა: 40% (დაიშვება სტუდენტი, რომელმაც პრეზენტაციებზე
დააგროვა მინიმუმ 20 ქულა)
მინიმალური დამაკმაყოფილებელი შეფასება არის 51.

პროგრამაში მონაწილე ლექტორები:
თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ლევან სილაგაძე, ანასტასია ზაქარიაძე, აკაკი ყულიჯანიშვილი, პროფესორები კახა კაციტაძე, ირაკლი ბრაჭული, ვალერი რამიშვილი,
მოწვეული პედაგოგები – მალხაზ კუხაშვილი, ვლადიმერ ასათიანი, რომლებიც ამჟამად უძღვებიან სახვითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის საგნებს, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილის ლოგიკურ გაელებას წარმოადგენს წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა.

სწავლისათვის დამხამარე პირობები (მატერიალურ-ტექნიკური ბაზა):

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სპეციალიზირებული სტუდია-ლაბორატორიების და საინფორმაციო ტექნოლოგიური ცენტრის სახით პროგრამის სტრუქტურისა და სწავლების პრაქტიკული ხასიათის გამო აუცილებელია. პროგრამა დარგობრივი კუთხით სწორედ ისეთნაირად არის შემუშავებული, რომ მაქსიმალურად იქნას გამოყენებული არსებული დანადგარები, ტექნიკა, დამხარე ინვენტარი და აღჭურვილობა.

1. სახვითი სელოვნების სტუდია-ლაბორატორია (საერთო ფართი 350 მ2, გააჩნია მხატვრობისთვის ოპტიმალური ბუნებრივი განათების წყარო და მაღალი ჭერი)

აღჭურვილია დაზგური ფერწერის და გრაფიკისთვის აუცილებელი ინვენტარით – მოლბერტები, დაფები, ტუმბოები, სადგარები, თაბაშირის მარტივი და რთული მოდელები, ოფორტის დაზგა.

2. კომპიუტერული გრაფიკის ლაბორატორია აღჭურვილია 5 კომპიუტერით.

დასაქმების სფეროები სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა:
სასწავლო პროგრამის წარმატებით დამთავრების შემდეგ სტუდენტს ექნება საკმარისი ცოდნა, კვალიფიკაცია და პრაქტიკული ჩვევები.
1) დაზგური მხატვრობის (ფერწერა, გრაფიკა) დარგებში ინდივიდუალური შემოქმედებითი მუშაობისთვის
2) კინოს, თეატრის და ტელევიზიის მხატვრად.
4) საგამომცემლო სფეროში.
5) კეწრძო და სახელმწიფო სექტორში მენეჯერად და კონსულტანტად ესთეტიკის და კულტურის საკითხებში, ნებისმიერ სფეროში, სადაც პროდუქციის, ობიექტის და პერფორმანსის მხატვრული და დიზაინერული გაფორმება არის საჭირო.
აღნიშნული მაგისტრატურაში შეძენილი და გაღრმავებული პრაქტიკულ- თეორიული ცოდნა ѕაშუალებას მისცემს მაგისტრატურის კურსდამთავრებულს კვალიფიკაცია აიმაღლოს ინტერდისციპლინარული კვლევის ხაზით ჰუმანიტარული პროფილის დოქტორანტურებში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ხელოვნების და ინფორმატიკის (მინიმუმ სახვითი ხელოვნების minor პროგრამის სავალდებულო საგნები -20 კრედიტი) ბაკალავრის ხარისხი; ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ ან რუსულ ენაში b-1 დონე.

სამაგისტრო პროგრამის „სახვითი ხელოვნება და დიზაინი“ სტრუქტურა

#	კოდი	საგანი	მოდულის სტატუსი	I	II	III	IV
1.		შემოქმედების მეთოდიკა და სტილი	სავალდებულო			5	
2.		მხატვრული ტექსტის ჰერმენევტიკა	სავალდებულო				5
3.		წიგნის გრაფიკა და ილუსტრაცია	სავალდებულო		5	5	
4.		კომპოზიცია დაზგურ მხატვრობაში	სავალდებულო		5	5	
5.		შემოქმედებითი პროექტი	სავალდებულო		10		10
6.		ტექნიკური ესთეტიკა	სავალდებულო		5		
7.		ვიზუალური ხელოვნების ონტოლოგია	სავალდებულო				5
8.		კინო-ტელე და თეატრის მხატვრობა	არჩევითი			5	5
9.		ხელოვნების მორფოლოგია	არჩევითი	5	5		
10.		რეკლამის თეორია	არჩევითი			5	
11.		ეკოესთეტიკა	არჩევითი	5			
12.		კულტურის ორგანიზება და მართვა*	არჩევითი			5	
13.		პოსტმოდერნის ესთეტიკა	არჩევითი	5			
14.		ხელოვნების ფილოსოფია*	არჩევითი	5			
15.		კომუნიკაციის თეორიები*	არჩევითი			5	
16.		სპეცსემიარი: ჟ. ბოდრიარი	არჩევითი			5	
17		მოდის სისტემა	არჩევითი			5	
18		XX საუკუნის ქართული სახვითი ხელოვნება თანადროულ ევროპულ ხელოვნებასთან მიმართებაში *	არჩევითი	5			
19		თანამედროვე სახვითი ხელოვნების სტრუქტურული ანალიზი *	არჩევითი		5		
20		ფიროსმანის მხატვრული სამყარო *	არჩევითი			5	
21		სამაგისტრო ნაშრომი					30

სამაგისტრო პროგრამა ეთნოლოგიაში
(2009–2010 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი)

სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება: **ეთნოლოგია**
Ethnology

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ეთნოლოგიის მაგისტრი
MA in Ethnology

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი: როლანდ თოფჩიშვილი

პროგრამის ანალოგი: The University of Edinburgh, http://www.ed.ac.uk

The University of Denver, http:// www.du.edu

Goettingen University, http://kaee.uni-goettingen.de

სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

პროგრამის მიზანი: სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს თანამედროვე ეთნოლოგიური მეთოდების, თეორიებისა და პრაქტიკული ცოდნის მქონე სპეციალისტები, რომელთაც შეეძლებათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ თანამედროვე ქართული სახელმწიფოს შენებაში პრაქტიკული კვლევების განხორიელების, მოვლენების პროგნოზირება-მართვის უნარისა და რეკომენდაციების შემუშავების გზით. ეთნოლოგიური დისციპლინის მიზანი საველე მონაცემების საფუძველზე მსოფლიოს ხალხთა სოციო-კულტურული განსხვავებულობის რელატივისტური შესწავლაა. თანამედროვეობის მოთხოვნებმა დამატებითი კორექტივები შეიტანა, როგორც დისციპლინის მეთოდიკასა და მეთოდოლოგიაში, ასევე განსახილველი პრობლემებისა და საკითხების ნუსხაში. ეთნოლოგია აღარ არის მხოლოდ ხალხების აღწერითა და მათი ყოფისა და კულტურის შესწავლით დაკავებული მეცნიერება. ეთნოლოგთა ინტერესების არეალში მოექცა მიმდინარე პროცესებზე დაკვირვება და მათი განვითარების პერსპექტივების პროგნოზირება. ამ თვალსაზრისით, ეთნოლოგიურ კვლევებს, ეთნოგრაფიული რეალიებისა და მოვლენების ახსნის საფუძველზე შემუშავებულ რეკომენდაციებს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭება. პროგრამის მიზანია მოამზადოს ეთნოგრაფიული რეალობისა და თავისებურებების (განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება კავკასიის რეგიონსა და საქართველოზე) მცოდნე კვალიფიციური სპეციალისტი, რომლისთვისაც კარგად იქნება ცნობილი კავკასიისთვის დამახასიათებელი პრობლემები, რეგიონში მცხოვრები ხალხების ისტორიულ-კულტურული ურთიერთობები, მათი ყოფა და ისტორიის ხანგრძლივ პერიოდებზე გავლენის მქონე ღირებულებათა სისტემები, ეთნიკური კატეგორიები, ინტერეთნიკური ურთიერთობების მარეგულირებელი სტერეოტიპები. ასეთი კადრების მომზადებას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ქართული სახლემწიფოსათვის, რადგან დღეისათვის და მომავალშიც ქართული სახელმწიფოსა და პოლიტიკის განსაკუთრებული ყურადღების ობიექტი უნდა იყოს რეგიონში მიმდინარე ეთნო-კულტურული პროცესები, რაც გავლენას ახდენს არა მარტო რეგიონის ქვეყნებსა და ხალხებზე, არამედ მთლიანად მსოფლიო პოლიტიკაზე. რეგიონის ეთნოლოგიური კვლევის აქტუალობა ქართული სახელმწიფოს გეოპოლიტიკური მდგომარეობისა და სახელმწიფოებრივი მშენებლობის დღევანდელი საჭიროებებიდანაც გამომდინარეობს. საქართველოს გაუძნელდება სახელმწიფოებრიობის განმტკიცება და განვითარება თუ არ ეყოლება სპეციალისტები, რომლებიც სათანადო

ეთნოლოგიური ცოდნის საფუძველზე შეძლებენ პროგნოზირებადი გახადონ საქართველოსა მის მიმდებარე რეგიონებში მიმდინარე ინტერეთნიკური პროცესები.

პროგრამის შედეგი: პროგრამის განხორციელების შედეგი იქნება კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, სათანადო თეორიული და პრაქტიკული გამოცდილებით, რომელთაც შეეძლებათ მონაწილეობის მიღება ეთნიკურ პრობლემათა განხილვა-მოგვარების მიმართულებით წარმართულ საქმიანობაში.

დასაქმების სფერო: პროგრამის დასრულების შემდეგ ახალგაზრდები შეძლებენ საქმიანობა გააგრძელონ სამეცნიერო–კვლევითი და სასწავლო დაწესებულებებში; ეთნიკური საკითხებით დაკავებულ სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურებში.

<u>სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობა</u>: ბაკალავრის (ან მასთან გათანაბრებული) ხარისხი ჰუმანიტარულ ან სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებში; ერთ-ერთი ევროპული ენის ცოდნა (დონე B1 – მისაღები გამოცდა ენაში სავალდებულო არ არის).

<u>სწავლების ფორმატი</u>: ლექცია, სემინარი, პრაქტიკა (საველე, სამუზეუმო და სასწავლო-სამეცნიერო)

ეთნოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა:

#	საგნის დასახელება	საგნის სტატუსი	კრედიტების საერთო რაოდენობა	Kკრედიტების განაწილება			
				სემესტრები			
				I	II	III	IV
1	ეთნოლოგიური კვლევის მეთოდები	სავალდებულო	10	*			
2	სოციალური და კულტურული ანთროპოლოგია	სავალდებულო	10			*	
3	თეორიული ეთნოლოგია (ინტენსიური კურსი)	სავალდებულო	10		*		
4	ქართველი ერის ეთნიკური ისტორია	სავალდებულო	5	*			
5	კავკასიის ხალხები (ეთნიკური ისტორია და კულტურა)	სავალდებულო	5		*		
6	ეთნოსი და ეთნიკურობა	სავალდებულო	5	*			
7	ხალხთა მიგრაციები (ისტორია და თანამედროვეობა)	სავალდებულო	5		*		
8	ძალადობის ანთროპოლოგია (კავკასიის მაგალითზე)	არჩევითი	5	*			
9	თანამედროვე თეორიები მითოლოგიასა და ფოლკლორისტიკაში	არჩევითი	5	*			
10	ქორწინება და ოჯახი შუა საუკუნეების ევროპასა და საქართველოში	არჩევითი	5			*	
11	მსოფლიოს ხალხების და ქართველთა საკუთარი სახელების სისტემები	არჩევითი	5	*			
12	ეთნოარქეოლოგია	არჩევითი	5	*			
13	ენა და კულტურა	არჩევითი	5			*	
14	რელიგიური ვითარება კავკასიაში (ისტორია და თანამედროვეობა)	არჩევითი	5			*	

15	საქართველოს ეთნოლოგია	არჩევითი	5	*			
	პრაქტიკა	სავალდებულო	10			*	
	საკურსო ნაშრომი	სავალდებულო	10		*		
	სამაგისტრო ნაშრომი	სავალდებულო	30				*
	სულ		**120**	**30**	**30**	**30**	**30**

სამაგისტრო პროგრამა ირანისტიკაში
(2009–2010 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი)

სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება: ირანისტიკა / Iranian Studies

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ფილოლოგიის მაგისტრი / MA in Philology

პროგრამის ხელმძღვანელი თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების ასოცირებული პროფესორი, ფილ. მეცნ. დოქტორი მარინა ალექსიძე

პროგრამის ანალოგი:

წმ. ანდრიას უნივერსიტეტი, ფაიფი (შოტლანდია), University of St Andrews – Iranian Studies Programme, www.st-andrews.ac.uk/history/taughtpostgrad/IranianStudies_1.pdf
ჰარვარდის უნივერსიტეტი (მასაჩუზეტსი, აშშ), Harvard University - Persian and Iranian Studies Program, http://www.fas.harvard.edu/~nelc/iranian_persian.html

სტენფორდის უნივერსიტეტი (კალიფორნია, აშშ), Stanford University - Iranian Studies Program, http://iranian-studies.stanford.edu/

ვაშინგტონის უნივერსიტეტი (აშშ), University of Washington - Persian and Iranian Studies Program, http://depts.washington.edu/neareast/persia/

პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერსონალი:

	პროგრამაში მონაწილე ლექტორები	აკადემიური სტატუსი	სამეცნიერო ხარისხი
1	სანიკიძე გიორგი	სრული პროფესორი	ისტ. მეცნ. დოქტორი
2	ალასანია გიული	სრული პროფესორი	ისტ. მეცნ. დოქტორი
3	გელოვანი ნანი	ასოცირებული პროფესორი	ისტ. მაცნ. დოქტორი
4	ჟორჟოლიანი ლილი	ასოცირებული პროფესორი	ფილ. მეცნ. კანდიდატი
5	შურღაია თეა	ასოცირებული პროფესორი	ფილ. მეცნ. კანდიდატი
6	კვაჭაძე მანანა	ასოცირებული პროფესორი	ფილ. მეცნ. კანდიდატი
7	ანთაძე ფატი	ასოცირებული პროფესორი	ფილ. მეცნ. კანდიდატი
8	ალექსიძე მარინა	ასოცირებული პროფესორი	ფილ. მეცნ. კანდიდატი
9	ბართაია ნომად	მოწვეული სპეციალისტი	ფილ. მეცნ. კანდიდატი
10	ბურჯანაძე მზია	მოწვეული სპეციალისტი	ფილ. მეცნ. კანდიდატი
11	კიღურაძე ნინო	მოწვეული სპეციალისტი	ისტ. მეცნ. კანდიდატი

სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

ა. პროგრამის მიზანი:

1. სპარსული სალიტერატურო, სასაუბრო და პრესის ენის საფუძვლიანი შესწავლა; სპარსული დიალექტებისა და დიალექტოლოგიის თეორიული და პრაქტიკული საკითხების გაცნობა.
2. ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების საკითხების შესწავლა და ძველი და საშუალო ირანული ენების საფუძვლების დაუფლება.
3. სპარსული ლიტერატურის ისტორიისა და თეორიის საკითხების შესწავლა; სპარსული ლიტერატურის ძველი, კლასიკური და თანამედროვე პერიოდის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლების შემოქმედების გაცნობა.
4. ირანის ძველ რელიგიებსა და ისლამის საფუძვლებში გარკვევა.
5. თანამედროვე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების პოლიტიკური, ეკონომიკური, რელიგიური, სოციალური და კულტურული ისტორიის საკითხების შესწავლა; რელიგიისა და სახელმწიფოს ურთიერთმიმართების პრობლემებში გარკვევა.

ბ. სწავლის შედეგები:

მომზადდება ფართო პროფილის სპეციალისტი, რომელსაც ექნება პროფესიული ცოდნა როგორც სპარსულ ენასა და ლიტერატურაში, ისე ირანის ძველ და ახალ ისტორიაში. პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს ზეპირ და წერილობით კომუნიკაციას სპარსულ ენაზე, სპარსული წყაროებისა და ლიტერატურული ტექსტების წაკითხვას, თარგმნას და მათ პოეტიკურ, სტილისტურ და ენობრივ ანალიზს; მას ექნება დისკუსიაში მონაწილეობის, ესეებისა და რეცენზიების წერისა და პრეზენტაციების მომზადების უნარი.

გ. დასაქმების სფეროები:

მაგისტრი მზადდება ირანისტიკის დარგში პედაგოგიური, სამეცნიერო-კვლევითი, საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული, სარედაქტორო, სარეფერენტო, საარქივო-სამუზეუმო, მეთოდიკური, სათარჯიმნო და მხატვრულ-კრიტიკული საქმიანობისათვის. ირანისტიკის მაგისტრი მომზადებულია, რომ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში დაიკავოს ლაბორანტის, სპეციალისტის, კათედრებთან არსებული კაბინეტის გამგის, ფაკულტეტის მდივნის თანამდებობები; სამეცნიერო დაწესებულებებში, (კერძოდ, აღმოსავლეთმცოდნეობის, ისტორიის, ხელნაწერთა, ენათმეცნიერების, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტებში), გამომცემლობებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სისტემებში, ბიბლიოთეკებში, არქივებსა და მუზეუმებში, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ყველა იმ თანამდებობაზე სამუშაოდ, რომელიც გათვალისწინებულ იქნება მაგისტრის ხარისხის მქონე სპეციალისტთათვის. მათ შეუძლიათ, აგრეთვე, იმუშაონ დიპლომატიურ სარბიელზე

საელჩოებსა და საგარეო საქმეთა სამინისტროში, ასევე თარჯიმნებად, რისი მოთხოვნილებაც დღევანდელი საქართველოს "შრომით ბაზარზე" არსებობს.

სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

ირანისტიკის სამაგისტრო პროგრამაზე მიიღებიან ჰუმანიტარული ფაკულტეტის აღმოსასვლეთმცოდნეობის, ისტორიისა და ფილოლოგიის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულები, თუ ისინი ჩააბარებენ გამოცდას სპარსულ ენაში (ცოდნის დონე B 2)

ზოგადი მოთხოვნები მაგისტრის მიმართ:

კომპეტენცია:

მაგისტრი უნდა იყოს ერუდირებული სპეციალისტი, მიღებული ჰქონდეს შესაბამისი სისტემური ცოდნა სპეციალობის განმსაზღვრელ ძირითად ზოგადთეორიულ და პრაქტიკულ დისციპლინებში იმ მოცულობით, რაც აუცილებელია კვალიფიკაციის მისაღებად დადგენილი სტანდარტების დასაძლევად. ასევე მას უნდა შეეძლოს დარგის მომიჯნავე სფეროებში გარკვევა.

მეთოდიკა, ანალიზი, სინთეზი:

მაგისტრს უნდა ჰქონდეს ფუნდამენტური სამეცნიერო და პრაქტიკული მომზადება აღმოსავლური (სპარსული) ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სპეციალობით; გარდა მშობლიურისა უნდა იცოდეს რამდენიმე უცხო ენა: ინგლისური, ფრანგული ან გერმანული – კარგად, რუსული – საშუალოდ; უნდა შეეძლოს მიღებული მეცნიერული ცოდნის, უნარ-ჩვევების, მეცნიერული ორგანიზაციის პრინციპების პრაქტიკული გამოყენება კონკრეტული ანალიტიკური, სამეცნიერო-პრაქტიკული, პედაგოგიური, საინფორმაციო-ძიებითი, მეთოდიკური და სხვა ამოცანების გადაწყვეტაში; სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს დაგეგმვა, ორგანიზება და ხელმძღვანელობა; ენობრივი და ლიტერატურული მოვლენებისა და პროცესების არსის და გენეზისის წვდომა და კრიტიკული შეფასება, მათი ანალიზი თანამედროვე სამეცნიერო მეთოდების გამოყენებით.

მაგისტრის კომპეტენცია უნდა წვდებოდეს სხვადასხვა ისტორიული, ლიტერატურული და ლინგვისტური გამოკვლევებისა თუ კონცეფციების შეფასებას.

ინფორმაციის მენეჯმენტი:

მაგისტრს უნდა ჰქონდეს დამოუკიდებლად ან მინიმალური დახმარების პირობებში სამეცნიერო ინფორმაციის ეფექტურად მოპოვების უნარი როგორც პირველადი, ისე მეორადი საინფორმაციო წყაროებიდან, მათ შორის ინტერნეტის გამოყენებით, ასევე ამ ინფორმაციის დამუშავება და სინთეზი ინოვაციური მეთოდების გამოყენებით. მას უნდა შეეძლოს საბიბლიოთეკო, საარქივო და სამუზეუმო ფონდებზე მუშაობა, სამეცნიერო შინაარსის ტექსტების რედაქტირება, რეფერირება და რეცენზირება, პუბლიკაციისათვის ხელნაწერებისა და სამეცნიერო დოკუმენტების მომზადება, კომენტირება, ანოტირება და საავტორო კონტროლის განხორციელება მათ გამოცემაზე.

დამოუკიდებლობა სამეცნიერო პრობლემების გადაჭრისას, კომუნიკაცია და ჯგუფური მუშაობის უნარი:

მაგისტრს უნდა ესმოდეს დარგი კონცეპტუალურ დონეზე, ჰქონდეს დამოუკიდებლად როგორც სამეცნიერო–თეორიული, ისე პრაქტიკული მუშაობის უნარი, შეეძლოს კვლევის კრიტიკული შეფასება და პრობლემათა გადასაჭრელი ალტერნატიული მეთოდების შეთავაზება. მაგისტრს მოეთხოვება აკადემიურ და პროფესიულ სფეროებში თავისუფალი კომუნიკაცია და საკვლევ თემატიკაზე ჯგუფური პრინციპით მუშაობა როგორც რიგითი წევრის, ასევე შესაძლოა, ლიდერის როლში, ჯგუფის წევრთა შორის ამოცანათა ეფექტური განაწილება.

სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

სამაგისტრო პროგრამის მოცულობა 120 ECTS კრედიტია (აკადემიური წლის განმავლობაში – 60, ხოლო სემესტრის განმავლობაში – 30 კრედიტი). აქედან პროგრამისთვის სავალდებულო კურსები – 60 კრედიტი, არჩევითი კურსები – 30 კრედიტი, სამაგისტრო ნაშრომი – 30 კრედიტი.

ირანისტიკის სამაგისტრო პროგრამა შედგება 12 სავალდებულო და 7 არჩევითი კურსისგან.

კვლევითი კომპონენტი:

ირანისტიკის დეპარტამენტზე კვლევის პრიორიტეტული მიმართულება ქართულ-სპარსული ენობრივი, ლიტერატურული და ისტორიული ურთიერთობებია, თუმცა მაგისტრანტს შეუძლია იმუშავოს ირანისტიკის პრობლემათა ფართო წრეზეც, კერძოდ, ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ირანის ძველი, შუასაუკუნეების, ახალი და უახლესი ისტორია, ირანის ძველი რელიგიები, ისლამი ირანში, სპარსული ლიტერატურა, ირანული ენები და სხვა.

სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

ირანისტიკის დეპარტამენტს სამაგისტრო კურსისთვის კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აქვს. კერძოდ:

1. გვყავს მაღალი კვალიფიკაციის პროფესორები;
2. გვაქვს შესანიშნავი ბიბლიოთეკა მრავალენოვანი სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურის სოლიდური ფონდით. ბიბლიოთეკის ნაწილი შეძენილია ირანის საელჩოს მიერ, რომელიც ყოველწლიურად, სასწავლო პროცესის მოთხოვნილებების გათვალისწინებით, აგზავნის სახელმძღვანელოებსა და სამეცნიერო-პერიოდულ გამოცემებს;
3. 2001 წლიდან ირანისტიკის დეპარტამენტთან ირანის საელჩოს მიერ გახსნილია "ირანის კაბინეტი", რომელიც აღჭურვილია სწავლების ყოველგვარი აუდიო-ვიდეო საშუალებებით (მაგნიტოფონი, ვიდეომაგნიტოფონი, ტელევიზორი და სატელიტური ანტენა, აუდიო და ვიდეოკასეტები, პერსონალური კომპიუტერი, კომპაქტ-დისკები);
4. თბილისში ირანის საელჩოს შუამდგომლობით შესაძლებელია მოვიწვიოთ სპეციალისტები და კოლეგები ირანიდან სპარსულ ენასა და ლიტერატურაში მოკლე სალექციო კურსის წასაკითხად (რისი პრეცედენტიც უკვე არსებობს);

1996 წლიდან, ირანის საელჩოს დახმარებით, მაგისტრანტებს შეუძლიათ გაიარონ მოკლე და გრძელვადიანი სტაჟირება ირანის რომელიმე უნივერსიტეტში, შეიძინონ სათანადო ლიტერატურა და გაიარონ კარგი პრაქტიკა სასაუბრო სპარსულში. ამასთან, მაგისტრანტებს, ისევე, როგორც მათ პედაგოგებს, შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ თეირანის წიგნების საერთაშორისო გამოფენის მუშაობაში, გაიცნონ ახალი გამოცემები და შეიძინონ სასურველი ლიტერატურა.

ირანისტიკის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

სავალდებულო კურსები	სტატუსი	**60 კრედიტი**	საკონტაქტო საათები
ირანულ ენათა შედარებითი გრამატიკა	სავალდებულო	5	45: 30 სალექციო, 15 პრაქტიკუმი
ირანის ძველი რელიგიები	სავალდებულო	5	45: 30 სალექციო, 15 პრაქტიკუმი
სპარსული დიალექტოლოგია	სავალდებულო	5	60: 30 სალექციო, 30 პრაქტიკუმი
სპეცკურსი ახალ სპარსულ ენაში	სავალდებულო	5	60: 30 სალექციო, 30 პრაქტიკუმი
სპეცკურსი კლასიკურ სპარსულ ლიტერატურაში	სავალდებულო	5	60: 15 სალექციო, 45 პრაქტიკუმი
სპეცკურსი თანამედროვე სპარსულ ლიტერატურაში	სავალდებულო	5	45: 30 სალექციო, 15 პრაქტიკუმი
სპარსულიდან ქართულად მხატვრული თარგმანის სემანტიკური და სტილისტური ასპექტები	სავალდებულო	5	45: 30 სალექციო, 15 პრაქტიკუმი
სპარსული პრესის ენა	სავალდებულო	5	45: 15 სალექციო, 30 პრაქტიკუმი
ისლამური ფუნდამენტალიზმი	სავალდებულო	5	45: 30 სალექციო, 15 პრაქტიკუმი
თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები	სავალდებულო	5	45: 30 სალექციო, 15 პრაქტიკუმი
რელიგია და სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთში	სავალდებულო	5	60: 30 სალექციო, 30 პრაქტიკუმი
აღმოსავლეთი და დასავლეთი ახალ და უახლეს ხანაში	სავალდებულო	5	45: 30 სალექციო, 15 პრაქტიკუმი
არჩევითი კურსები		**30 კრ.**	
სუფიზმი და სპარსული სუფიური ლიტერატურა	არჩევითი	5	45: 30 სალექციო, 15 პრაქტიკუმი
ლექსთმცოდნეობითი ანალიზის პრინციპები და სპარსული ლექსწყობა	არჩევითი	5	45: 30 სალექციო, 15 პრაქტიკუმი
ძველი და საშუალო ირანული ენობრივი ეპოქა	არჩევითი	5	45: 30 სალექციო, 15 პრაქტიკუმი
სამი სტილი სპარსულ ლიტერატურაში	არჩევითი	5	45: 30 სალექციო, 15 პრაქტიკუმი
პოლიტიკური,სოციალ-ეკონომიკური და კულტურული პროცესები თანამედროვე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში	არჩევითი	5	45; 30 სალექციო, 15 პრაქტიკუმი
ისტორია როგორც მეცნიერება	არჩევითი	5	45: 30 სალექციო, 15

			პრაქტიკუმი
სპარსული პალეოგრაფია და კალიგრაფიის ხელოვნება	არჩევითი	5	45: 30 სალექციო, 15 პრაქტიკუმი
სამაგისტრო ნაშრომი	სავალდებულო	30	

სამაგისტრო პროგრამა ასირიოლოგიაში
(2009–2010 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი)

1. **სამაგისტრო პროგრამის დასახელება:** ასირიოლოგია / Assyriology

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ფილოლოგიის მაგისტრი / MA in Philology

3. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი: მაია ღამბაშიძე, თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

4. სამაგისტრო პროგრამის ანალოგი:

მიუნხენის უნივერსიტეტი (გერმანია) http://www.assyriologie.lmu.de/
ბერლინის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი (გერმანია)
http://www.fu-berlin.de/studber/studium/faecher/altorientalistik.html
ბოხუმის უნივერსიტეტი (გერმანია) http://www.ruhr-uni-bochum.de/Info-1-Philo.html
ერლანგენის უნივერსიტეტი (გერმანია)
http://www.uni-erlangen.de/~p2orient/assyriologie/
ფრაიბურგის უნივერსიტეტი (გერმანია)
http://www.uni-freiburg.de/aorient/philhome.html
ჰაიდელბერგის უნივერსიტეტი (გერმანია)
http://www.uni-heidelberg.de/institute/fak8/ASSY
იენის უნივერსიტეტი (გერმანია)
http://www.uni-jena.de/fsu/fober/fophil.html#070
კიოლნის უნივერსიტეტი (გერმანია)
http://www.uni-koeln.de/phil-fak/orient/fachgebi/altorien/altori.html
ლაიპციგის უნივერსიტეტი (გერმანია) http://www.uni-leipzig.de/fak/gesch1.htm
მარბურგის უნივერსიტეტი (გერმანია) http://www.uni-marburg.de/fb11
მიუნსტერის უნივერსიტეტი (გერმანია)
http://www.uni-muenster.de/Philologie/Welcome-d.html
ტიუბინგენის უნივერსიტეტი (გერმანია) http://www.uni-tuebingen.de/uni/a11
ვურცბურგის უნივერსიტეტი (გერმანია)
http://www.uni-wuerzburg.de/vv/aktuell/phi1.html
ჩიკაგოს უნივერსიტეტი (ამერიკა)
ვანდერბილტის უნივერსიტეტი (ამერიკა)
http://oi.uchicago.edu/OI/default.html http://www.vanderbilt.edu/jewishstudies/
ტექსასის უნივერსიტეტი (ამერიკა) http://www.utexas.edu/cola/centers/lrc/

5. სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

- **პროგრამის მიზანი**

ასირიოლოგიის კათედრა უზრუნველყოფს მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტების მომზადებას ასირიოლოგიის (შუმეროლოგია-აქადოლოგიის და ხეთოლოგიის) მიმართულებით. ასირიოლოგიით – ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ენებით, ისტორიის, სოციალური ურთიერთობების საკითხებით, კულტურით, რელიგიის და არქეოლოგიის პრობლემატიკით საქართველოში დაინტერესდნენ XX საუკუნის დასაწყისში. ასირიოლოგიის კათედრა ივ. ჯავახიშვილის ინიციატივითა და ხელშეწყობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებისთანავე შეიქმნა. დიდი ქართველი მეცნიერი იმთავითვე გრძნობდა ამ დარგის შესწავლის აუცილებლობას და ძველაღმოსავლურ საზოგადოებებთან ქართველურ ტომთა უძველესი ისტორიულ-კულტურული კავშირების ძიება საშურ საქმედ მიაჩნდა. აღნიშნული მიმართულება, ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, მხოლოდ პეტერბურგსა და თბილისში, ხოლო ევროპასა და ამერიკაში წამყვან უნივერსიტეტებში არსებობდა და დღესაც არსებობს. კათედრას მჭიდრო ურთიერთობა აქვს მსოფლიოს უნივერსიტეტებან, ასირიოლოგიისა და ძველაღმოსავლური ცივილიზაციების ცენტრებთან, თბილისის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტსა და სხვა უმაღლეს სკოლებთან, სადაც იგზავნებიან სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები. ამდენად, ძველაღმოსავლური ცივილიზაციების შესწავლა, რომელიც თავისთავად მოიცავს კომპლექსურ დარგს, სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, ძალიან მნიშვნელოვანია.

- **შედეგი**

სამაგისტრო პროგრამის გავლის შემდეგ, კურსდამთავრებულებს ექნებათ:

- ბაზისური ცოდნა ძველაღმოსავლური საზოგადოებების სხვადასხვა ასპექტებისა და მიმართულებების თვალსაზრისით;
- ინტერდისციპლინარულ კონტექსტში შეეძლებათ თავიანთი ცოდნისა და სამეცნიერო უნარ-ჩვევების დახმარებით ჩამოაყალიბონ საკუთარი მოსაზრება-კონცეფცია (არტეფაქტების იდენტიფიკაცია, წარწერების წაკითხვა, კულტურულ-რელიგიურ კონტექსტის ანალიზი-დადგენა, კულტურული სინთეზები და სხვ.);
- ექნებათ თავიანთი პროფესიული დასკვნების საჯარო დეკლამაციის უნარი და აგრეთვე ექსპერტებთან პროფესიონალური კოლაბორაციისა და თანამშრომლობის უნარ-ჩვევები;
- შეძლებენ გააგრძელონ სწავლა დამოუკიდებლად და მოახდინონ პროფესიული თვითსრულყოფა;
- მაგისტრს ესმის დარგი კონცეპტუალურ დონეზე, შეუძლია ლოგიკური აზროვნება, კრიტიკული კვლევა, როგორც დამოუკიდებლად, ასევე ჯგუფურად;
- მაგისტრი იზიარებს ყველა იმ პროფესიული ეთიკის საერთაშორისო ნორმებს, რაც დაცულია მსოფლიო საავტორო უფლების დაცვის ე.წ. „კოპირაითის“, დამოწმებისა და ციტირების სტანდარტებით (MLA).

- **დასაქმება**

უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს, რომელსაც აქვს ასირიოლოგიის სპეციალობით მაგისტრის ხარისხი, უფლება ეძლევა:

- სწავლა გააგრძელოს დოქტურანტურაში;
- ჩაატაროს ასირიოლოგიის ბაკალავრიატის პროგრამაში ენის სემინარები;
- დასაქმდეს ჰუმანიტარული მეცნიერებების, კულტურისა და განათლების სხვადასხვა სფეროში (საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული, სარედაქტორო);
- იმუშაოს სახელმწიფო სტრუქტურებში, არქეოლოგიურ გათხრებზე, არქივებში, მუზეუმებში, ბიბლიოთეკებში, ტურისტულ ორგანიზაციებში, ადმინისტრაციულ სტრუქტურებსა და ორგანიზაციებში, გამომცემლობებში. ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალურ სასწავლებლებში;
- ასწავლოს: საქართველოს ისტორია, ძველი აღმოსავლეთის ისტორია, მითოლოგია, რელიგია და კულტურა;
- იყოს ექსპერტი ორიენტალური სიძველეების განხრით.

6. სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები და პროგრამა

საერთო საუნივერსიტეტო წინაპირობების გარდა მაგისტრატურაში ჩაბარების მსურველი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ერთიანი ეროვნული სამაგისტო გამოცდის ჩაბარება;
- უნდა იყოს მოტივირებული და ჰქონდეს როგორც პედაგოგის დახმარებით, ასევე ნაწილობრივ დამოუკიდებლად მუშაობის და კვლევის უნარ-ჩვევები, შემოქმედებითი აზროვნების მაღალი პოტენციალი და ინტერპრეტაციის უნარი;
- კარგად ფლობდეს ერთ-ერთ ევროპულ ენას;
- მზად იყოს ინტერაქტიული ლექციებისათვის და იყენებდეს მუშაობის პროცესში პედაგოგის მიერ შეთავაზებულ სასწავლო-სამუშაო სისტემას (სილაბუსი);
- მას უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხი მიღებული ასირიოლოგიის განხრით (major/minor პროგრამები) ან იყოს ჰუმანიტარული ფაკულტეტის ნებისმიერი სპეციალობის ბაკალავრის ხარისხის მფლობელი, რომელმაც მოისმინა შუმეული, აქადური და ხეთური ენების კურსი;
- სასურველია, რომ კანდიდატს მონაწილეობა ჰქონდეს მიღებული სტუდენტურ კონფერენციებში;
- არ არის აუცილებელი სამუშაო გამოცდილების ქონა.

7. კვლევის კომპონენტი: სასწავლო 75%; სამეცნიერი კვლევითი25%

აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის განმსაზღვრელი შემოქმედებითი თემატიკაა: ძველაღმოსავლური ცივილიზაციები და ძველი ენები (შუმერული, აქადური, ხეთური), ბიბლიისტიკა –ძველი აღთქმის წიგნები და არქეოლოგიური კონტექსტი. კავკასიური და

წინააზიური კულტურების კავშირ-ურთიერთობანი. აღნიშნული ძირითადი მიმართულებების ფარგლებში, მიმდინარეობს მუშაობა ისტორიულ, ლინგვისტურ, კულტურულ-ანთროპოლოგიურ, სოციალურ და რელიგიურ პრობლემებზე (გასათვალისწინებელი ფაქტორია კვლევის ახალი მეთოდები და სისტემები). ამ მიმართულებების ფარგლებში მაგისტრანტს შესაძლებლობა აქვს, აირჩიოს მისთვის სასურველი საკვლევი თემა.

ასრიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში მაგისტრანტს მაგალითისათვის ვთავაზობთ შემდეგ საკითხებს (მოცემული ჩამონათვალი არ არის სავალდებულო და არც სრული, მაგისტრანტს აქვს თავისუფალი არჩევნის გაკეთების საშუალება საკუთარი ინტერესების შესაბამისად) :

- შუმერული რელიგიური ტექსტები
- შუმერული ლიტერატურული ტექსტები
- შუმერული ისტორიული ტექსტები
- შუმერული იურიდიული ტექსტები
- შუმერული სოციალურ-ეკონომიკური ტექსტები
- აქადური რელიგიური ტექსტები
- აქადური ლიტერატურული ტექსტები
- აქადური ისტორიული ტექსტები
- აქადური იურიდიული ტექსტები
- აქადური სოციალურ-ეკონომიური ტექსტები
- ხეთური რელიგიური ტექსტები
- ხეთური ლიტერატურული ტექსტები
- ხეთური ისტორიული ტექსტები
- ხეთური იურიდიული ტექსტები
- ხეთური სოციალურ-ეკონომიკური ტექსტები
- ბიბლია და მისი მიმართება ძველ წინა აზიასთან
- მესოპოტამიის ისტორიული არქეოლოგია
- მცირე აზიის ისტორიული არქეოლოგია

8. სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების ასირიოლოგიის სპეციალობის სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო კვლევითი და შემოქმედებითი კომპონენტები განხორციელდება ორ ძირითად ბაზაზე:

1) საკუთრივ კათედრაზე, სადაც მოწყობილია ბიბილოთეკა. აღნიშნული კაბინეტი აღჭურვილია მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურით, სლაიდებით, რუკებით, ინტერნეტით. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ, რომ 2006 წელს ე.წ. „გერმანიის კვლევითმა ორგანიზაციამ“ (DFG) თსუ ასირიოლოგიის კათედრას გადმოსცა უმნიშვნელოვანესი უახლესი სპეციალური ლიტერატურა.

2) „ასირიოლოგთა, ბიბლეისტთა და კავკასიოლოგთა საზოგადოებაში“ (იხ. ვებ-გვერდი www.sabc.ge). საზოგადოებას მოეპოვება დარგში საინტერესო ბიბილოთეკა, და სტუდენტებისათვის განკუთვნილი ტეკნიკური ბაზა, რომელიც აკმაყოფილებს მაგისტრანტის მომზადების დარგში.

3) დარგის სპეციალისტების პირად ბიბლიოთეკებში, რაც ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის.

9. ერთობლივი სამაგისტრო პერსპექტიული პროგრამები

ასირიოლოგიის კათედრა აწარმოებს ერთობლივ სამაგისტრო პროგრამებს

- მიუნხენის ლუდვიგ-მაქსიმილიანის სახელობის უნივერსიტეტის ასირიოლოგიისა და ხეთოლოგიის ინსტიტუტთან (ხელმძღვანელები პროფ. ა. უნალი, ვ. სალაბერგერი);
- ტარტუს უნივერსიტეტის ასირიოლოგიის განყოფილებასთან (ხელმძღვანელი პროფ. ტომას კემერერი);
- კორნელის უნივერსიტეტის მახლობელი აღმოსავლეთის განყოფილებასთან (ხელმძღვანელი პროფ. დევის ოუენი);
- ბუდაპეშტის უნივერსიტეტის ასირიოლოგიის განყოფილებასთან (ხელმძღვანელი პროფ. ა. ზოლიომი, ჟ. შიმონი);
- სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი აღმოსავლეთის განყოფილებასთან;
- ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი აღმოსავლეთის კათედრასთან.

ასირიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

ეფუძვნება ორ მოდულს – ასირიოლოგია (შუმერული-აქადური) და ხეთოლოგია. სასწავლო-სამეცნიერო კომპონენტები-75% (3 სემესტრი სალექციო-სასემინარო) და 25% სამეცნიერო საკვლევი (საკურსო და სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა).

№	საგნის დასახელება	საგნის სტატუსი: სავალდებულო, არჩევითი	კრედიტების საერთო რაოდენობა	კრედიტების განაწილება			
				სემესტრები			
				I	II	III	IV
1.	აქადური სხვადასხვა წერილობითი ძეგლები	ძირითადი	15	5	5	5	
2.	შუმერული სხვადასხვა	ძირითადი/	15*	5*	5*	5*	

* მაგისტრანტი ირჩევს შუმერულ ან ხეთურ ენას იმის მიხედვით, თუ რომელ ენაში აპირებს იგი დასპეციალებას: **შუმერულისა და აქადურისათვის** სავალდებულოა 15+15=30 კრედიტის დაგროვება

	წერილობითი ძეგლები	არჩევითი					
3.	ხეთური სხვადასხვა წერილობითი ძეგლები	ძირითადი/ არჩევითი	15*	5*	5*	5*	
4.	სპეცკურსი შუამდინარეთის ლიტერატურაში	ძირითადი	5			5	
5.	შუამდინარეთის ისტორიულ-კულტურული კონტექსტი	ძირითადი	5	5			
6.	მცირე აზიიის ისტორიულ-კულტურული კონტექსტი	ძირითადი	5		5		
7.	ძველაღმოსავლური და მედიტერანული სამყაროს კულტურების მოდელები	ძირითადი	10			10	
8.	*ჩინა აზიის არქეოლოგია*	არჩევითი	10	5**	5**	5**	
9.	ძველი აღთქმის შესავალი	არჩევითი	5	5**	5**	5**	
10.	ბიბლიის ისტორიულ-კულტურული კონტექსტი	არჩევითი	10	10**	10**	10**	
11.	ბრინჯაოს ხანის მხატვრული ხელოსნობა	არჩევითი	5	5**	5**	5**	
	სამაგისტრო ნაშრომი		30				30
	სულ		**120**	**30**	**30**	**30**	**30**

აქადურსა და შუმერულ ენებში, ხოლო **ხეთურისათვის** – 15+15=30 კრედიტის დაგროვება აქადურსა და ხეთურ ენებში.

* სტუდენტი თავად ირჩევს, თუ რომელ სემესტრში გაივლის მოცემულ არჩევით საგანს.